


ს პ ვ ა ლ ი



სალიბრატურო და საემცნიერო ნახაზებიანი ზაზუთი. ზაგონის ჟოველ კვირა დღეს.

№ 34.

აპრილის 14, 1894 წ.

№ 34.

შინაარსი: სამეგრელოს ვითარება ამო ხეთელისა. — * * * ლექსი დუკუ მეგრელისა. — გვ. ნინოშვილის ისტორიკობა გამოცემის გამო. — ქუთაისის „ბულვარი“ Nihil-ისა. — დევილი და პატრონების დავა ფ. პატრონისა. — ფინლანდია და მისი ჩანჩქერი იმატურა. — ცრიტიკა: მოამის პუბლიცისტიკა პ. ბუტრაძისა. — სანეშარო გვასარობი: სიმონიძე და მ. სი „გა-ღარუბ“. — განცხადება

შეძომის მსჯობა: „კეალის“ № 33 პი-რველ გვერდზე ეყის სურათს ქვემოთ აწერია „შეცდო-მით: „ილი მთავარი ნიკოლოზ მინელიისძე“; უნდა იყოს: „ილი მთავარი ალექსანდრე მინელიისძე. თვითონ ნომერს აქვს შეცდომით რიცხვი და-სმული; „7 ივლისი“, უნდა იყოს: „აგვისტოს 7“.

სამეგრელოს ვითარება

გვკ, თუ რაც წახდეს,
ველარა აღსდგეს.
ველარა აჭვევდეს ახლის უფე ვით
და რაც დაეცა.
ის წარმოცა
შაგმან ყორანან, ვით უმწე მსხვერპლი?
გრ. ირბელიანი.

როთა ვითარებამ და ქამთა უყუღმა ტრიალ-მა სხვა ქართველებთან ერთად — ჩვენ მეგრე-ლებს — ბევრი ხელ-ჩასაკიდი და თაე-მოსა-წონი თვისებანი წარგეტაკა; გამოგელიჯა ხელიდან, ისეთი თვისებანი, რომლებითაც სამართლიანად თა-

ვი მოწონდათ ჩვენ წინაპრებს და ანდერძით მია-ჩნდა შთამომავლობას მათი შენახვა-შეურყველობა! მაგალითად: დავკარგეთ ჩვენ ის მტკიცე და შეურ-ყვეელი ხსიათი, რომლის მეოხებით ჩვენი ერი, მზა-ვალ-ტანჯული, ბევრჯელ აოხრებულ-აწიოკებული ურიცხვი მტრისაგან, მაინც არ აზავრინებდა მტერს მის თავს და ხელითგდებდა თუ არა ღროს, პირიქით აშკარად უმტკიცებდა მუხანათს, რომ ის ბუნებას არ შეუქმნია მონად და აბუხად ასადგებდა... განგვიკრა, გაწყდა ჩვენში ის სულიერი კავშირი, რომელიც ამ-ხნევებდა, შთაბერდა სულს მამაკობისას ჩვენს ერს საერთო გაჭირების ღროს! და ყველა ამასთან, კე-რძით ჩვენ მეგრელებმა, მაწაწალა „სულიელ-პრინცი-ბის“ მეოხებით, ჩვენდა დასამცირებლად და სახე-ლის გასატეხად გვეწყვიტეთ კავშირი ჩვენ თანამე-მამულეებთან, სწავლა-აღზრდის საქმეში უიარი ეყა-ვით ის, რაც ათასი და მეტეც წელიწადი გავერ-თებდა, გვაკავშირებდა და გამოყვედით ყველა ქა-რთულთა მოღმის თემები ცხოვრების სარბიელზე ხელის-ხელ გაყრილნი, როგორც ლეიძი ძმები!

დადა ახალი ღრო. დაპერა ახალმა სიომ. ამ ახალმა ღრომ დაბადა პატრონსება-აღმობოცილნი

მამულისშვილინი, იუდის თანაზიარნი, ანგარებიო საესე პირნი. ესენი გადაქმნილან, დამახინჯებულან, აღმოხოციათ გულიდან თანაგრძნობა თვისის მრავალ-ტანჯულის ერისა. ამ პირთ ცხოვრების მიზნათ გაუხილათ ის, რომ ერის აღმკვირვებუე, გადაქმნაზე, მისი უკან-მსვლელობაზე აღმწერონ თავიანთი პირუტყვეული კეთილ-დღეობა. ქვეყნის მუხანათნი, აი, რას თხოვეწ ბოროტს სულის აკაკის ლექსით:

„მომთხოვას, მოაღდატობის და ორპირობის მომატე ნიჭი, რომ ვიმოქმედო ჩვენს ქვეყნაში და თანდათან წინ წავდგა ბიჭი“.

„სულა ბოროტო! ეს ღმისრულე და შეტს ან ვითხოვ შენგან დიდებას, მაშინ შენგ ნახვ, რომ უკვლავ ერთად მე ღმისრულე ჩვენში დიდ ქვასს“.

ბოროტმა სულმა ჩენი ქვეყნის ორგულთ ეყბატიანებს პირველი თხოვნა-ვედრება უკვე აღსრულა: მათ თანდათან, დღე-დღეობით, ემატებთ პირმოთენობის, მოალატობის და ორპირობის ნიჭი, მათ, ჩენი ერის უნებურათ და რაღაც მანქანებით, დარჩათ ჩენს ქვეყანაში მოუღანი სამოქმედოთ და მით „თანდათან წინ წადგეს ბიჭი“. მათმა ყაღბმა და საფუძველს მოკლებულმა აზრმა, დღტოღვილებამ, დამისახურა ყურადღება და თანაგრძნობა იქ, სადაც მათთვის უფრო გამოსადეგია!

მხოლოდ მეორე, უკანასკნელი წადილი მათ ეგრ შეუსრულდებათ. ისინი ეგრ ეღრისებინან, რომ ერმა მათს საზიზარს და სამარცხვინო მოქმედებას გუნდრული უსმის! წაიდა, —სულ თუმცა ვერ კიდევ ეგრ წასულა, მაინც თანდათან ქრება—ის მათთვის სანატრელი დრო, როდესაც ჩენში ეგრ არჩევდენ შტერ-მოყვარეს, როდესაც ქვეყნის ორგული ეყბატიანების მოქმედებას ბაზარი ჰქონდა! ახლა უბრალო, უფიცი სოფლის გლეხიც ზიზლით იხსენიებს მათ, ხედავს რა მათს მოქმედებას, მათს ანგარებობას საესე საკეთილს, რომელიც ნიშნა მისი გრძნობა-გონების დაქვეითების!

ზემით აღწერილი ახალი რეჟულის ეყბატიანები—უსუსურნი და უგუნურნი, ნაძირალნი ჩენის შეფერხებულის ცხოვრების—იმის ქადაგებასაც ბედდენ, რომ მეგრელები ქართველები არ არიანო, განკალკეებული ისტორიული ცხოვრებით უცხოებითა, რომ მეგრული ენა ქართულს სრულებით არ წავაგესო, სხვა ენა არისო და სხვა და სხვა... მერე, რამ გამოივიყნა ეს ეყბატიანები პრაპაგანდაულ ასარგებზე? ნუ თუ საქმის ღრმად გარჩევა-ჩაიკვირებამ, ფაქტების შესწორა-შედარებამ, ძველი ისტორი-

ული ნაშთების კვლევა-ძიებამ, ენის კანონების გამოკვლევამ დაბადა, შექმნა, მათი ვითომდა რწმენა? არა, არა, და ათასჯერ არა! განა მით გავგებთ საზოგადოდ, რა არის ისტორია? განა მით იციან კერძოთ საქართველოს თავ-გადასავალი? განა მით იციან ქართული ენა და მისი კანონები? არც კოდნა, არც გავება მათ არა აქვთ! არც ერთი მთელი აზრი, არც ერთი ჰუმანური გრძნობა, არც ერთი ცხოვრებაში გამოსადეგი იღვა მათში არ მოიპოვებ! მერე და, მკითხავთ, როგორ მოიპოვეს ჯერ-ჯერობით მაინც გამარჯვება ასეთი ფარ-მზლ-ისრით აღჭურვილ მეომართ? პასუხი არა საქირია. თქვენც კარვად იცით, ქარი საიდან ჰქრის!..

თუ ჩენს ხალხს გულშემბატკივარი სადმე მოეცებნება, ამ გადაქმენლ-გადამგვარებელ მოვლენის მოსასპობად, იმის ძირიანად აღმოსათხრელად უნდა მოქმედებდეს. თუ ჩენა გეყავს გონება-განივითარებულინი, ზნეობრივად შეუბღალეღენი და ჩაკვირებულნი მამულის შვილნი, ისინი უნდა გაუშკლავდენ ამ დამამზობელ ნაწლს და გამოაკალონ ნიადაგი, შეუკრან გზა გავრცელებისა. თუ ჩენ გეყავს ექიმი, ამ ავადმყოფობას უნდა აღმოუჩინოს წამალი, მას უნდა მოანდომოს თავის ძალ-ღონე.


მართლაც, ჩენდა სასიხარულოდ ახლა-ხან სა მოქმედო ასარგებზე იჩინა თავი ახალმა თაობამ, ახალი მიმართულებით, კეთილი აზრით და იდეებით. მხოლოდ ეს თაობა თავისი უანგარო შრომით გამოსკვივის აქა-იქ ჩენს უფრულს ცხოვრებაში. მხოლოდ ის არის სწავლა-განათლების საქმეში „ნათელი“ და „მარილი“ ჩენის ქვეყნისა. ეს ახალი თაობა აქურცილა „შედლებისდაგვარად ყოველის ეროვნულის საუნჯის ცოდნით, მოუშვადებია თავის გულის სიღრმეში ნიადაგი ერის გაჭირების თანაგრძნობისათვის. ამ ახალ მუშაკთა გუნდს უღვივის გულში ერის პატივისცემა, ის სასიხარულოდ ამცდარა გადაბირების გზას, არ დამახინჯებულა, არ მოსპობილა „კვეშირი შემაერთო“ მათ და ერს შორის. მოქმედების დროს ამ თაობას დიდი ბრძოლა მოეღოს, დიდს გაჭირებასაც გამოივლის. ქაენებრივი კეთილ-დღეობაც შეუშკირდება, მაგრამ ის უნდა გამზენდეს, უსამართლობას შეგებრძოლოს, ჰკაფოს ეკლიანი გზა ცხოვრებისა და მით დაიჭიროს დროში ხელში კეთილშობილებას და პატიოსნებისა, რადგანაც მისენ არის ხალხის თანაგრძნობა. და სწორით ასეც იქცევა. მისი სიმხნე-გამარჯულობით ჩენში დაარსდა და ახლაც არსდება სამრევლო სკოლები, მათ შორის ორ-კლასიანიც, მაგ., ხეთისა, სადაც ორ ახალგაზდა მუშაკთა თითქმის უსასყიდლო შრომით გლეხ-აზნაურის შვილები სწავლობენ

ქართულ-რუსულს, იმენენ სოფელთათვის გამო-
სადგე ცოდნას. სიღარიბისა და უსახსრობის მიუხე-
დავით ამ სკოლაში სწავლა კარგს ნიადგუზეა დაეყ-
ნებულნი, რაც ცხადად დაამტკიცა წლიურმა შეგირ-
დთა გამოცდამ. ამისთანა სკოლები ღირსია ჩვენი სა-
ზოგადოების თანაგრძობისა და დახმარებისა, რად-
განაც მათში მოღვაწეობა საქველ-მოქმედო საქმეთ
უნდა ჩათვალოსთ მუშაკთ...

ახალ მუშაკთა დარიგება-ჩაგონებით იზადება
სურვილი სამკითხველოებისა და წიგნთ-საცემის და-
ახსებისა. მათ ჰსურთ ერთად-ერთი მოსახერხებელი

კერა-დღე საკერაო სკოლას მოახმარონ და სო-
ფლის ბიჭებს, რომელთაც არა აქვთ სახსარი სკო-
ლაში სწავლისა, ან და სკოლაში იმყოფებიან, მაგ-
რამ არ იციან ქართული, შეასწავლონ ქართული
წერა-კითხვა... და მომავალშიაც ბევრს უნდა მო-
ველოდეთ ამ თაობისაგან, რადგინაც საზოგადო უა-
ნგარო, პატრონისა და აზრიანი შრომა ნაყოფს უა-
მოიღებს, ერს წინ წაწეეს. ეუსურვებთ ამ ახალ-
თაობას და მის წადილს გამარჯვებას, ძლიერ-მო-
სილად გამოსვლას ბრძოლის მოედნიდან!!

ამო ხეთელი



* *

მინდა, ეთქვა რამე, პირაკრული ვარ,
მინდა, გვიწირო, აღარ მაქვს ძალა,
მინდა, ვკენესოდე, ხმა ჩამწყვეტია,
მინდა ვტიროდე, ცრემლი გამშრალა!

გრძნობა გრძნება კი სუსტა და უძლიერს
უფრო და უფრო მიცთაველდება

და, ვერც ერთ სურვილს რომ ვერ ვისრულებ,
გული ნელ-ნელა შხამით მეცდება!..

ოჰ, ბარემ მალე გაიხსე, გულო,
გაღმთანხიე ეგ საწამლავი
და მით მოშხამე ძალა ბოროტო,
ყოველ კეთილის ქვეყნად მზაგარეი!..

ლაშუ მგერული



ე. ნინოშვილის (ინგოროყვას) თხზულებათა გამო-
ცემის გამო.

საწყდლი დუდაბრისსა
თაჯნი უნას მკანო...
ხალხურა

მ წლის 26 ივნისს ე. ნინოშვილის (ინგო-
როყვას) ბიძამ ალექსი ინგოროყვამ განა-
ცხადა „კეალი“ № 27-ში შემდეგი:

„იმედი მაქვს თქუნი გაზეთის საშუალებით
შეილება მომკვებმა განგვსადო, რომ ჩემად დაუ-
კეთისკად და ნუხადურთველად არც ერთი თხზუ-
ლება ჩემი მძისწულის, განსვენებული კნატე
ინგოროყვასი (ნინოშვილის) არ გამოიქცეს, მე-
ტად სასურველად აგრეთვე გუგოგო, თუ რა უფელ-
ბით გამოუდეს წიგნების გამოქვეყნულ ქრთველთა
ამისანობას განსვენებულის „მოსე მწერალი“...
ჩვენ გვეგონა ამისთანა წერილს შემდეგ, რომე-
ლიც დასტამბა ჩვენს გაზეთში პირდაპირმა მემკვი-
დრემ, განსვენებულის ეგ. ინგოროყვას (ნინოშვი-

ლის) ბიძამ, არავის უფლება აღარ ჰქონდა, რაიმე
განკარგულება გამოეცა და მოსაზრება გამოეცხადე-
ზინა ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის შესახებ.
ამ უფლების პატრონი, როგორც ზნეობრივად, ისე
იურიდიულად, იყო და არის ალექსი ინგოროყვა.
მაგრამ ჩვენს უტულმართ დროებაში რა არ ხდება.
თუ შენი არა იხარჯებოდეს რა ლხინს ნურა გირ-
ჩენია რაო. ჩვენი მეთაურნი იმდენად გაკადნიერე-
ბულან, რომ სხვისი ჯიბით საქველ-მოქმედო საქმის
წარმოება პირად დამსახურებულ და თავის მოწონე-
ბათაც მიზანიოთ, მაგრამ, ვგონებ, ასეთს საქციელს
არამკითხვებ მებატრონობა კი ჰქეა. ჩვენთვის რომ
ვისმე ეთქვა, ასეთი საქციელი იკადრა ზ-ნ იაკობ
გოგუებაშეოდო, არ დავიჯერებდით, მაგრამ დახეთ
ჩვენს გოცებას, როდესაც მისი ხელმოწერილი გან-
კარგულება წავიციებთ ამ წლის ივნისის 28, № 136
„ივერიაში“ ეგ. ნინოშვილის თხზულებების გამო-
ცემის შესახებ მას შემდეგ, რაც აკვალშია“ იყო
ზემოხსენებული ალექსი ინგოროყვას წერილი დას-
ტამბულა:

„სსუა-და-სსუა ჰიბრუსი განხურასსუთ ცლ ცლქქ
გამოსკენ ზოგაერთი მოთისროზანი ჩქენის უჯრო-

ათ ღატკრულის ნიჭიერის ბეჭეტრისტის ნინო-
შვილის. ვოსოთ ამ განზრახვასე სული აიღონ
(არამეთხე შეპატრონე, თუ გნებავთ ეს არის),
რადგან მისი განხორციელებას უკვე აღდ და-
ბრკოლებს გარდრელებას სსზოგადოებაში სრული
გამოცემის განსვენებულის მოთხრობისას. ეს გა-
მოცემს უნდა მოსდეს მოკლე მომავალში, გვინებ,
ქუთათურთ ამხანაგობის შუამავლობით, რომელსაც
მე წინადადება უკვე მივეცი ბატონის ალექსანდრე
ნანეიშვილის ბრით. გამოცემის დაქმტებს ზორ-
ტრეთი განსვენებულის, როდესაც ჯერ იგი წარ-
მოადგენდა სდსა და შნოაისს ახალგაზრდას (გვე-
ლში* დაქველილი ზორტრეტი კეთუანის ავადმყოფ-
ფობის დროს) და ვრცელი ბიოგრაფია, რომელს-
აც დასწრეს ერთ-ერთი მისი მეგობარბანია. უკე-
ლასეც უკეთესად ამ შრომის შესრულებას შეუძლია
ბანს ნოე ჟორდანას, როგორც მხლავლებს მე-
გობარს და ახალგაზრდას, რომელსაც უკვე დაიხს-
ნურს უურადლება სსზოგადოების თავისი ნაწერე-
ბითა. რაც შეეკება ავტორის გონიარბს, იგი
არ თანსწორ ნაწილად განყოფიება: ნახვარი
ერებათ დარბის მეკვიდრებს განსვენებულისს (ხე-
ტვ რთ განხისხება ბანი გოგებაშვილი სს-
წაქს მეკვიდრებს ნინოშვილის, რომ მითივის

მეკვიდრეობის უფლებას ჩამოერთმევა) და ნახვა-
რი გადაცემას სალიტერატურო ფონდს... და სს.*

ი. გოგებაშვილი

ამისთანა ბოვლიხანურ განკარგულებებზე სამარ-
თლიანად შენიშნა ნ. ჟორდანაძე, რომ არა უფლებ-
ბა გეცქეს, ვგნატეს ნაშრომი იმის ღარიბს ბიძა-
შვილს წაერთვითა? განსაკუთრებით სამართლიან-
ნია ასეთი პასუხი ვგნატეს ბიძის, ალექსანდრე ინგო-
როყვას, წერილს შემდეგ.

რაიცა შეეხება სალიტერატურო ფონდზე ზრუ-
ნეას, კარგს იზამდა ბანი ი. გოგებაშვილი, მისი გა-
დილება საწყალი ვგნატეს ბიძაშვილის ლუკმით კი
არ ენებებია, არამედ სხვა წყაროთი, რომელსაც
თვით ი. გოგებაშვილს უფრო მიუწყებდა ხელი.

რაც შეეკება ნინოშვილის ბიოგრაფიის და-
წერას— უკებს ზახუს ნ. ჟორდანაძე — ამ შრომას
დიდი სიახლოვეთი შეუდგებოთ. შილოდა ამ ფ-
ზდა აქ, უგნოეთში ამის შესრულებას ყოვლად შე-
უძლებლად მივგნანია... ამისთვის ვგნატე ნინო-
შვილის რიგბანი ბიოგრაფიის დაწერას სსწუხარად
არ ძალგებოს აქ, უგნოეთში, სადაც ძალა-უნებუ-
რად ყოველსავე მასლას მოკლეუბანი ვართ...*

რაოცა ქველს ხელსეც მკითხველი, ბანი ი. გოგება-
შვილის ქველ-მოქმედებითი განკარგულებას ბუნებ-
სტიკიონიც ეწინააღმდეგება და კაცოც.

ქუთაისის „გულგარდი“

მდიდარი და მოჯადობელი ბუნებით არ-
ს შემეკული მთლად ქუთაისი. ხე-ტყით დაბუ-
რული მთა და ეელი გარშემო უხვად არ-
ტყია. თვით ხომ ბოვებსა და ეენახებს შორის არის
გაშენებული და მალღი ხეების ჩრდილ ქვეშ ტბე-
ბა. წყალი მრავლის-უმრავლესი და მეტის მეტად გე-
მრიელი აქეს. ქუთაისი თითქმის შუახე გაუჭრია
მღინარე ჩოჩის მღელეარე ტალღებს, რომელიც
გამწარებელი თავ-დაუშობველობით გვირბის კლდე-
თა ნაპირებს საშინლად ასკდება, ჰშოთათეს, ღრია-
ლებს და აყრუებს იქაურბობას. „სავარდო და სამი-
სო“ ქუთაისის თუ ყორები ჩამოყურია და დაძაბუნე-
ბულა, ძველი საქართველოს დიდების მოწამე დი-
დებული ტაძრის ნანგრეენი, კოშკნი და ცხენი თუ
მწარედ დაღობებულან, მავიარად ჩოჩნი უფრო
საშინელს ჯავრებს მოადის და წარმოუდგენელი სიმ-
კაცობით ანარტებს და ახეთქებს თავის ზვირთებს
უშველებელს კლდეებს ღრიალითა და ძაბლით.

განუწყვეტლივ ამ ყოფაშია ჩენი ჩოჩნი! იგი ებრ-
ძის ქუთათურთა ყურ-ჩამოყრის და დაძაბუნებულს
ცხოვრებას და რომელი დაძლევს... ამას მომავალი
გეჩენებს. ქუთაისს ჰავრიც წმინდა, ნაზი და მრავ-
ელ-გვარ გზნობათა აშშლილი აქეს...


მავრა... ქალკის „გულგარდი“ ღმერთბანი,
მთლად გვირგვინი შევერებობისა. ჩენს ბელეტრისტს
გ. წვერეთელს გასაოცარი ხელოვნებით აქეს აღწე-
რილი ეს „გულგარდი“ ან უკეთ ვთქვათ — „ქუთა-
ისის პარლამენტი“ ერთს თავის ნაწარმოებში („ედი-
შერ ქველბაქიანი“). და თუ გსურთ ნახვა იმერეთის
„პუბლიკისა“, გამოზრძანდით დამშვიდებულს, და-
სიამებულს, მოწმენდილს დღეს ქუთაისის „გულგ-
რდზე“ და იქ თავმოკრის, პირისპირ იხილეთ გა-
მომწვეურებულს „კობტად“ ჩაცმულ-დახტურლის მდი-
დარ ბუნების მოარზიყეთა. ბულგარი მეტად ლა-
მავია და შეენიერი, მავრამ სიკოცხელ და სიტუტუმ
სწორეთ მამინ უფრო ემატება, როდესაც პაწია ხელ-
ფების და მოღერებულის გულ-მყრდის კველუტ
„ბარიშნა“ ამ „ბარიშნასავით“ თავ-ქარიან „კაეულ“

რებს“ ეტიტინება ისეთს „უმალღეს“ პოეტურს საგანზე, როგორც, მაგ., „სიიყვარულია“.

ბარიშნა „ვეროპიულად არის მორთული, „პახოდაკ“ ევროპიული აქეს, მთლად „ნაზია და ნარნარი“; ლაპარაკი აქეს „უცხოეთისა“ და, ლეთის წინაშე, საუცხოოც. „ზავედნიაში“ ტყუილად კი არ უსწავლია! ქართულ-რუსულს გარდა, ფრანციულადც გვარიანად ტიტინებს და, რა თქმა უნდა, განათლებულღებშია პირ-და-პირ ჩარიცხული. „ტანკაობაც“ ევროპული იცის და, ახირებით ლაპარაკს კიდევ დააწყებთ, რომ ეს „ბარიშნა“... ჰმ! რომ ეს „ბარიშნა“-მეთქი... მისაბაძვი არ იყვის!

მნაზიაში“ უსწავლია და, თუმც „აკურსი“ არ დაუსრულებია, არ ნაზობს...—„ღემნაზიის კურსოენიკებს კი არა, „უნივერსიტეტში“ ნასწავლს პირველს ხარისხივან „დიპლომიანებსაც“ კი ადგილი ეერ უშვოვიათო და მე კარგი ზედი დამემართა, რომ მეხუთიდან დამითხოვესო...

მეორე „კავალერი, მხრებაწურული, კანტიკაცია; „ვეროპულად“ არის ჩაცმულ-დაზურული და იმ ცელქსა და ცუგრუმელს „ბარიშნას“ მრავალმნიშვნელოვანის, ორ-პირულის შეკრეკებით თვალთხედვის ისარს არ აშორებს. ამის საქციელს, ყოფაქცევასა, მი:ერა-მოხერას ნამდვილი „განათლებული“



ფინდიანდა: სამეჩის ტბის რუდან გამოსასკლელი ჭიშკარა.

აქეთ-იქით, გვერდებზე, ამ „ბარიშნას“ ორი „კავალერი“ მიდევს. დიდა, ორი; არც მეტი და არც ნაკლები! ერთს იმათგან ფენებზე ახალ მოდის „ლაფზინი“ აცვია, ტანზე აწურული და დგარძელებული „ჩერქესკა“ შემოუხევეია, წელზე ახალმოდისე წერილი და მოკლე ხანჯალი არტყია, თავზე „შლაკა“ ხურავს და ოთხისავე მხრით მარდათ, ქაჯურად იყურება. ქართულ-რუსული ტანისამოსი აცვია იმიტომ, რომ „ნახევრად პატრიოტობს, და ნახევრად პატრიოტობს იმიტომ, რომ... მაგრამ ეს... რაღა თავი შეგააწყინოთ, ხატის ბრალა! ამასაც „ღე-

კაცის ბეჭედი აზის. ამას რუსეთში უმალოესი სასწავლებელი, დიდი ხანია, დაუსრულებია, „დიპლომი“ გამოუტანია და, თუმცა მოხელოე კია, ლეთის წინაშე, მაგრამ კარგს ნაცნობებსა და ახლო ნათესავებში, აკრე წოდებულ, „ემანიკაპაციან“ ჩუმთ ყოველთვის ქე ლაპარაკობს თავისუფლად და, ღმერთმანი, რა გინდათ მეტი, რომ არ ეცი...

აი, ეს სამნი შაშენი, „შავს გალიას“... უკაცრავად... ქუთაისის „გულეარღზე“, მაისის ვარდთა თაიგულოვით სამის გულ-მეყრდის კუნჭულში ერთი გრძობით მტყიცედ „შეკრულნი“ სიიყვარული-

ზე“ ატეხილს გიჟურს ოცნებას „წარათ ებრძვიან“ და, სანამ დაიღლებოდნენ .. ამ „შრომაში“ იქნებიან!..

აგერ გვერდით, ამ საუცხოვო „ტროიკის“ ფუნ-არეფით მოუთამაშებებს ჩვენში „აღზე-მიცემობის“ ღირსეული წარმომადგენელი და საკვირველი სახის „ლოჯედანიცი“. წარმოდგინეთ, ეს „ლოჯედანიცი“ თუქმე ერთი „დიდი ზაგუნიისის“, დღაწი პრაქტიკულად! საუცხოვო სურათია!... ვაგერილ-კოლოტი-ვით სრულებით დარგვალებული და ღიბ-გაღამაგდებული, შუბლი ვიწრო და დაბალი, თავის ტანთან შედარებით, საოცრად გაწერილებული და უკან გადაწეული. მუცელი რგვალი და ისეთ ნაჩრეთ წინ წამოწეული, რომლის „მაიდანზედაც“ ქვივობის ღრას ადვილათ მოიკეთეს ქალაქის ორი ენობა: ბებერი, კბილებზაცვიანი „პაქარნი“ დარჩუა და მისი მშობილი პატარა საქულა. მოკლე, საშინლად მსხვილი კისერი მხრებში ისე უჩინრად ჩაჯარდნია და წერილი გოჭის თვალები ისე დაუჭყეტია, თითქო მთელი ქვეყნის სიბინძურე და „ცოდვანი სოფლისანი“ თავ-მოყრით ერთად თავზე ამას დაწოლდეს. პირის კანი საოცრად დღემკვილი აქვს და გაბერილი ცხვირის ნესტოები ზურუნის ბოლოს მიუჯავს. ამას კი, ლეთის წინაშე, „შლაკა“ მოხდილა აქვს და გადატყცილის, მოტიტლიკანებულის თავისა და შუბლიდან მოკლე ხელებით ძლიერ იწურავს წვეთ-წვეთად მომცურავს ოფლის ბურიებესა.

რა უნდა, ნეტავი ამას, ამ ჯოჯოხეთის მაშხალას, „გულფარზე“ რომ გამოსულა?

ჰმ! ესეც, ეს საგანგებოდ შეთხზული საერთო-ხობელთა, რომლის ტარება ასე უძძიმს დედა-მწიწასა და, ვინ იცის, იქნება, თვითონ ამასაც დედა-მწიწაზე სიარული, „პროვინციალურს სკოწინაობას“ სახლში არ დაუყენებია. დღეს ესეც „საქმეშია“ და, რომ საქმეშია, ამას საფუქლიდან წარმოდენილი ოფლის ბურთებიც ამტკიცებენ. ამას დიდი სურვილი აქვს, როგორმე წამოვიწიოს წინ მიმქროლს „ტროიკის“, შორიდან თვალი მოჰკრას ტურფად მოკუმულის ვარდის ფერ ტურტებს და დაღუბებული გრძობით სავსე ზეგს თვალებს და მერე დაჯდეს, დაისვენოს, მაგრამ... მაგრამ, დალახეროს ღმერთმა ამის გამწენი, რომ არ ხერხდება არას გზით!

— როგორ მოგწონს ეს სურათი, ყმაწვილო კაცო? დევეოხზე ჩემს მეგობარს. უყუთეს „პარობას“ სელაგენბითაც, განგებ ისედაც, ვერ მოაწყობ, ღმერთს გუვიცებამეთქი!..

— აგერ უყურებ, ერთი რომ მიდის კენტად? იგია „ინტელიგენტი“, ჩვენი „განათლებული საზოგადოების“, ე. ი. ქუთაისის „გულფარის“ წარმომადგენელი, ერთი უხვირო და დაჩაგრული „ლი-

ტერატორი“. რუსები ამგვარ კაცს „шудачник-ს“ ეძახიან.. მაგის ცოდვა ჩააწვა კისერში იმას, ვინც ეგ შეეცდინა, ფათერაკს შეამთხვია და ცოე ზნეულისკენ ამაოაფთა ერთხელ თავი. ამ წერილ-ფება „წეუღანისკ“ უავს ერთი სხვილ-ფება აუსონი. ეს უკანასკნელიც სრული კვშმარბიტი „წეუღანისკია“, მაგრამ პირველსავე ბატს-ტინა და უნიჭო არ არის. მოგახსენებენ მსხვილ-ფება „წეუღანისკ“ მთელი თავისი ცხოვრება „ობოზიციის“ (ვერცაელე ამ სიტყვის მომგონს!) ქარ-ცეცხლში უტარებია; მაგრამ ერთხელაც კი, ერთს წამსაც, წარმოდგინეთ, გამარჯება არ ღირსებია. და ის კი თურმე, მოგახსენებენ, იმ ჰზრისა არის, რომ მხოლოდ გამარჯებულები არის ყოველთვის ამ ქვეყანად მართალი დეკეთილ-შობილინი. მიელს თავის სიცოცხლეში ერთ წამსაც კი გამარჯების არ მნახველს გული მეტად გატებია და, ამ სიბერის დროს, მეტი ვეღარ მოუთმენია, მისულა ერთს ადგალს, ერთს კაცთან და უთხრობია ერთი სიტყვა; მას აქეთია იმ ერთი კაცის წინაშე ეგ მსხვილ-ფება მოხუცი „წეუღანისკია“ საჯაროდ ოთურმას თამაშობს და მთელი ბულფარის აკადემიაც ტაშს უკრავს. თვლის სასერიო და გულას ვალასკოვანტეული სურათი მეტრ-და გრდათქ.

აი, ამ ორმა „წეუღანისკმა“, წერილ-ფება ბატის-ტინამ და მსხვილ-ფება ნიჭიერმა და ოინის კაცმა ამ ყამად ერთს ყურნალში (?) ჩადგეს საბუღარი და, ღმერთო ჩემო, რას არ ჯღაბნიან! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცილისწამებით სავსე საზოზარ მემეს ავრკელდებენ. ვითომ „კეალის“ რედაქცია და იმისი თანამშრომელი იმ უხვირო ყურნალის მოსაზობის სურვილით იყვენ გატაცებულნი. ვითომც ბ-5 მაზაკალი კაცკასის ავაზაკებს ხელს აფარებდეს და მთავრობას... ვითომ ზომღელის კრიტიკა მიღგ-მით სჯიდეს გ. წერეთლის ხელოვნურს ნაწარმოებზე, ვითომ აკაკი... პ. პეტრიძე, ერთი სიტყვით, ყველანი ემტერებოდნენ ამ უბედურს და დაცხრილულს ნაცარ-ქვექას, რომელსაც ამ სამის წლის წინად ვასგანჯეთ, გზ. „ივერასაც“ კი ერთს თავის სახალწლო ნომერში ლექსად სამასხაროდ იღებდა და თავს ჰქრდა. ახლა ეს გამოსულა და სხვას ცილასა სწამებს და აბრალებს იმას, რასაც თვითონ ჩადის. აი, ამასა ჰქვია, ჩვენში რომ იტყვიან: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი, რაც ალაპარაკებს ამ „წეუღანისკებს“ ყურნალი „კეალის“ წინააღმდეგ.. სახელოვანმა აკაკიმ, დიდი ხანია, ჩამოჰკრა თავის ტურფასა და შევიწროს ქწარს და, სხვა ტკბილი და ჩაილილია:

„თუ იღვანე მიწერილია
მხოლოდ პური და გროშია,

რა არის თუ არ წუბაკი,
პურისთვის მყეფვი გომია?¹
და, ამიტომაც, ბატონებო, „нельзя ли для про-
гудокъ по дальше выбрать закоулокъ?“²
დასასრულ, მკითხველო, ნება მიბოძეთ, გაიმ-
ბოთ ერთი ამბავი.


თქვენ, იქნება, ეგრეცნობდეთ პოლ - დე - კოკს?
ამ დალოცვილის შვილის აზრით, მთელი კაცობ-
რობის ცხოვრება მხოლოდ ერთი ტურფად აყვა-
ეებული წალკატია, რომლის არსებობა ერთობ სა-
და, უბრალო მარტივს მიხეზებზე არის დამოკიდებუ-
ლი. კაცი უნდა აყვეს ნაფრთხილ ცხოვრებას და
წუთარეს, უწინადაც სურვილებსა და გულის-თქმა-
თა დღეღას გაყვეს. ხასიათის გაუტყეხლობა და
სიმტკიცე, ზნეობრივი რწმუნება, აზრი და მიმართ-
ულება სალახლანდარო სიტყვებია, რომლისაგან ხე-
ირა არაფის დაჰყრია. ისე ჩვეულებრივად, ერთი
ვიღაც ალფრედი, დაწოწაფს ამ წუთოსოფლის, ან
უკეთ ვთქვათ, აყვავებული წალკატის³ არე-მარგზე.
თავში არავითარი აზრის ნამტყეცი არ მოცხებნება,
გარდა იმ აზრისა, რომ ყოველგან და ყოველ-
თვის სულის მომაკვდინებელს აზრებს აე-
რკლებს. და, აი, იმ თავითვე, მას გაეცნობა არმა-
ნს, შემდეგ ბლანში, მერე ჟოუსტინი და ბეერი
სხვა ამ მოძღვრების პატივისმცემელი დედა-კაცები.
ალფრედი ფრთაშესხმული ჭ განაზრებული დახტის, და-
წოწაფს, ერთი ყვავილიდან ქოჯრებზე მარდად ჯდება და
თითოეულს ამ ნაერბო ქოლთავანს, რასაკვირველია,
„ლორსულად“ ეპყრობა... ბოლოს... — ყველაფერს ხომ
დასასრული აქვს ამ ჩვენს „კოდეილს დედა-მიწა-
ზე“⁴. ალფრედ ტიტველ-შიშველი რჩება და ჯან-

ღონის დაკლისა და მოუძღვრების გამო, ხრწნი-
ლებას ცილვეა... რა თქმა უნდა, რომ აქვე უნდა შე-
წყუდარყო იმისთვის „ამ წუთოსოფლის ცხოვრება“;
მაგრამ პოლ-დე-კოკი, ეს გულ-ჩველი და ცრემლთა
მოყვარე ბრძენი, ასთვის სამართლიანსა, მაგრამ უბე-
დურ განსაცდელს თავის დასარგან აშორებს თავის გმირს.

და მართლაც, თვით სულისა და ხორცის გა-
ყრის ქაშს, ალფრედის დაეადამყოფებულს თავს საიდა-
ნდაც მოველინება ერთი მეტად კარგი ყმაწვილი,
რომელიც გულ-მტკივნეული სამახსურით და მარ-
ველა-პატრონობით ამ სალახანას სასიკვდილო ხრწნი-
ლებისაგან ახსნის. რამდენისამე ხნის განმავლობას
შემდეგ ალფრედი ცნობაში მიადის. ათრთოლებუ-
ლის, ავანკალბეულის ხელთა თითებით „კარგ ვაჟს
პატრნს დაუწყებს და აშკარად გრძობს კიდევ,
რომ უწინდელი ნიჭის ძლევა-მოსილობა ნელ-ნელა
თავს იჩენს... თურმე ნუ იტყვით, ეს მეტად „კარგი
ვაჟი“ — ვაჟი კიარა, უკვე ცოდევერთ ნახიარები ქა-
ლი კლემანსია არის, რომელსაც, დიდი ხანია თურმე,
უყვარდა ალფრედი და შორიდან გამოუთქმელი,
იღუმალი გულ-დაწყევტით თვალს ადევნებდა თავის
საყვარლის გაფუტქეულსა და გარყვნილ ცხოვრებას...

ეს არის და ეს. არც მეტი და არც ნაკლები!
უშინააზრო და საზოზღარი ამბავი კი არის, ღვთის
წინაშე, მაგრამ სრული და ჭკმძრბიტი იდეალისტრ-
ციაა ამ მგლომარობისა, როდესაც ზნე-დაცემული სა-
ზოგადოება და ამ საზოგადოების შვილი „ბრძენი შქე-
რდენი“ გარკენილას და სულის მომაკვდინებელს „მკე-
ბათს“ ჰდავებს უტყფრად, სჯარად დაიწყენ ლიტ-
რატურას და ცხოვრებაში...

Nihil



ფინლანდია და მისი ჩანჩქერი იზაგრა



უნება ისეთი ცუდი არაოდეს არ იქნება, რომ
ერთი სამზაროლო მარგალიტი მის გულში
მაინც არ ჰქოიოდეს. მართლაც ვინ არ იქის,
რომ უკიდურეს ჩრდილოეთისკენ მდებარებს ფინ-
ლანდიის ქვეყანა, ცივი, მჭირი და ევლური. ზამ-
თარში იქ ისეთი სიცივეებია, რომ გააფუროხო, სა-
ნამ მიწაზე დაეცემოდეს გაიყინება. წარმოიდგინეთ
მისი ჭარაფოვანი უწყალო კლდეები, ტენჯყოიანი
აღვლები, მისი მავნე-სულეობანი ჩაღრუბლულ-ჩა-
შავებული საშიშარი ნაძენარი, სავა ქარიშხალი და-
დამიწის არყვის და ჯოჯოხებითად ამარბეთილს ნე-
ღირის ღმუილს უერთებს თავის საზარელ ხეილსა.


რა უნდა იყოს აქ კარგია? — იტყვის მკითხველი.
მაგრამ, აბა, დაუფლათ ყური ერთ წარჩინებულ
მგზავრს ლაქტორ ვლისიესს*), რომელსაც თავის
სიყმაწვილის ღვინი ამ ქვეყნის ღადა-ღუღებში უმო-
გზავრია, რა პოეტურათ აგვიწერს ფინლანდიის ლა-
მანს სურათებს:

„თუ გინდა გაიცნო ფინლანდიის ბუნება, უნდა
შენი თვლით ნახოგო მისი თავისებური მომზიბლავი

*) ლაქტორ ვლისიესსმა გამოცა თავისი მგზავრო-
ბა დედამიწის ზურგზე ერთ წიგნით, რომელსაც ქვეა
სასულად იო ნიარ ცხურ. ეს წიგნი ბერს შესანიშნავს
ანაგეს მოკვიბისროს ვერძაზე, აზნაზე და აფრიაზე,
მთი მიწა-წყლზე და კრუზე. წიგნში შენაიერა სუ-
რათება, დის სამი მან, უღანა და თხი მანია.

სილამაზე, საცა ქვა, წყალი და ტყე საკვირელად ეზავებიან ერთმანეთში და გიხატევენ თვალწინ შვენიერს ბუნების სახეს. განსაკუთრებით კარგი სანახავია ფინლანდია, როცა მას ოქროში ფერავს დამავალი მზის სხივები. საშიშრად ჩაბნელებული ნაძვის ტყეები თითქოს მაშინ ვაცოცხლდებიან; მათი ჩახატული სახეები სარკესავით ანკარა ტბებში, თითქოს ამოგტკეპრიან ქვევიდან და ხელს გიქნევენ, ჩამოდი აქ, რა ელემის ნაირი სანახაობა გაიფენოვო, ეგრანა ხელისთ შემოსილი კლდეები ოქროს ფრად ბრჭყვიენენ, თითქოს ნარიჯი ცეცხლის ალი პრიალღებს; ჩუმი საიდუმლოებით სასენ ტბები კი წა-

ჩანჩქერამდის. ჩვენ ვისხედით ერთ მდინარის გემზე, რომელსაც ერქვა სახელად „იუსტოლია“; იმატრის მდინარეში შესართავ რუზე საგუბრებია გაცეთე-ბული, რომლის საშუალებითაც მხოლოდ დადის შიგ ცეცხლის გემი. საიმის ტბის ერთ საგუბრამდის რომ მივედით, უცებ აქრიალდა საგუბრის უზარ-მასარი კარები; გაიღო თუ არა იგი, წყალი აშალ-და მდინარის კალაპოტში და გემი შევიდა საგუბრის კარებში. შემდეგ ქვედა საგუბრის კარები დიდი რა-ხუნით ისევ ჩაიკეტა. ჩვენ დავჩრით ერთ უშველე-ბელ კალაპოტის ყუთში, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ საზღვრავდა გრანიტის კლდის კედლები,



ფილანდია: საიქნის ტბიდან გამოსასვლელი რუ.

როგოდგენენ უზარმაზარ კლდისა და ტყის ჩარჩო-ებში ჩასმულ სარკებს, რომ თვალ-წინ დაგიყენონ შიგ ლამაზად ჩახატული ცა და მზის სხივით აყვავებუ-ლი ბუნება. ამაზე კიდევ უფრო ლამაზათ და გასაგი-კებელ მოჩვენებად წარმოგიდგება ეს ბუნება მთა-რის შუქზე, ვანსაკუთრებით კლდეებზე მოჩქრიალე ვერცხლებრი მდინარეებს რომ თვალს დაამტკრებ; აქ არის მრავალი ჩანჩქრები და კლდიდან კლდეზე ჩამოჩქრიალე მდინარეები.


ვიბორლის ქალაქიდან ჩვენ ავედით იმატრის

წინ და უკან კი საგუბრის კედლები და მისი კი-შკრები. როცა ქვედა საგუბრის კიშკარი ჩაიკეტა, ზედა საგუბრის კიშკართან მოვიდა ორი ფინლან-დიელი, რომელთაც აქ ჩუხნის ხალხს ეძახიან, და დაატრიალა ჩარხი კიშკარის გასაღებათ. ცოტას ხანს შემდეგ გაიღო კიშკარი და უშველეებელი ყუთი გაივსო წყლით, რომელმაც აატეტივა მალა ჩვენს ცეცხლის გემი. ამ დროს გემის ბორბლებაც დაიწყეს წყალზე მუშაობა, ააქფეს მდინარე და გა-ტარეს ჩვენს გემი ზედა საგუბრის კიშკარში. რაჟ

გეგმა საგუბრების დაბრკოლებას მოარიდა თავი, გაშალა ფრთები და გასწია საჩქაროდ იმატრის ჩანჩქრისკენ.

სულ მთლად თეთრ ქაფად გადაქცეული. შორიდან მდინარის აქაფებული ტალღები თეთრი ცხერის ფარად გეჩვენება. ისინი კი არ გრგვინვენ, როგორც ჩანჩქერი, არამედ წყნარად მოდიან, წყლის ბოლს აყენებ-

ბოლოს მივედით ჩანჩქერთანაც და რა ენახეთ!



83

ფილანდია: ტექსლის გეში „იუსტილია“ შედის საგუბრის ჭაშკარში.

ჩვენ რომ ჩანჩქერს ვეძახით, ის სრულებით აქ არ იყო. მდინარე კლდიდან კი არ ვარდებოდა, არა. ის მიიზბოდა ძალიან დაქანებულს კლდიანს კალაპოტში. ის არის კლდეზე წამოსული მდინარის შხივი,

ბენ და თან ცხერის ფარასავით ჩუმად მობლაღიან. „დიდი ხანი არ არის, ამოზბს მეორე მტკავრი სიმონოვი—რაც ამ იმატრის შხივზე გაბმული იყო ერთი კილიდან მეორე კიდემდის რკინის მართული

და ზედ დიდი კალათი გაქონდ-გამოქონდათ. ამ კალათში ჩაჯდებოდა ხოლმე ორი კაცი. როცა კალათში ჩამჯდარი ახალგაზდა ცოლ-ქმარი გადადიოდნ ერთი კილიდან მეორე კიდზე და შხვის ზეიდან დაქტეროდნ; უტბად ხის გდასაკიდ, რომელზედაც რკინის მართული იყო ჩამოდებული, გატყდა და კალათი ორი ახალგაზდა ცოლ-ქმარინა ჩამოწვა

ზედ შხივზე. ერთი მტკაველი რომ კიდვე ძირს ჩაწუთულიყო კალათი, დაილუებოდა. ამ საშინ მღკო-მარუბაში ერთმა მარჯვე ახალგაზდა კაცმა ჩაუშვა ერთმანეთზე გადასკნელი ზეწრები და ჯერ კაცი ამოიყვანა და მერე ქალი. საწყალს შეყვარებულეს გულზე შემოაყროდა და ძლიეს მოაბრუნეს. ამას შემდეგ რკინი: მართული მოშალეს.

დეული და ბატონისების დაქვა

V

(„მეველი“ და „მენავთა“ სურედლები)

დასარული *)



ფ-ნი „მეველი“, ამბობს რომ „როდესაც მიზეზი უსამოყენებისა ისეთის თვისების არის, რომ იმის შესახებ დღის დაწყება უკადრისია, მოუხერხებელია,“ — პატრონსავე კაცმა „უნდა შინადას თავისი სიცოცხლე ხმადას და დამაჩანასა“... გავსინჯოთ, რამდენად მართალია ეს აზრი. პირველად, რა არის ეს შინადას? რას წარმოგადგენს საზოგადოდ წილა? ავიღოთ რაიმე მაგალითი. ვთქვათ, ერთი კაცი, ქსახელდობრ თონდა პეტრე, რაიმე საქმეში ენდა მეორეს, პავლეს. ნუ თუ სრულიად უსაფუძვლოდ ენდა აქ პირველი მეორეს? როცა ერთი ადამიანი იჩენს მეორეს მიმართ ნდობას, — ეს იმას ნიშნავს, რომ ერთს რაიმე ომედი აქვს მეორესი. სანამ პეტრე ენდობოდას პავლეს, მან რამდენადმე მაინც უნდა იცოდეს პავლეს ხასიათი და მისი ზნეობრივი ფიზიონომია, რომ ამ საუფუძვლო შეძლოს ომედი იქონიოს პავლესზე, რომ ეს უქანასკნელი მას გაუმართლებს ნდობას და არ უღალატებს. შეიძლება აგრეთვე პეტრე ისეთი კაცი იყოს, რომ სრულებით უტრობ კაცსაც ენდას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მის ნდობას რაიმე საფუძველი ექნება. ახლა გკითხავთ, ბ-ნო „მეველი“, რა საუფუძველი გაქვთ, როცა ხმალ-დამაჩანზე ჰქადაგებთ? ხმალ-დამაჩანთ ომში ომედი შეიძლება რამ ურევია, რომ ყოველად უშუფუძვლია ამ იარაღთა მოქმედების ერთგვარობას დაენდოს ადამიანი. ტყვია შეიძლება მოხედეს მიზანს და შეიძლება არა, — ეს დამოკიდებულია წმინდა ფიზიკურ მახეზეზე. ხშირად ერთი ბეწო ხელის გაქანება, პატარა ქარის მობერება საკმარისია, რომ ტყვის მიმართულება შეიცვალოს და

იმ მიზანს არ მიადწიოს, რომელზედაც თქვობდა მსროლოლი. ამიტომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხმალ-დამაჩანზე დანდობა შეიძლებოდას. „მეველი“ კი წინააღმდეგია. — იგი ამბობს, რომ ასეთი დანდობა შესაძლებელია. მაშ მას რამე საუფუძველიც უნდა ჰქონდეს მისი. ჩენი ფიქრით, ამ ორს მოაზრებაში, „მეველეს“ რწმენის შესახებ ერთი რომელიმე უნდა იყოს მართალი: ან უნდა ჰქონდეს ის რწმენა განსამართლების შესახებ, როგორც რწმენა ჰქონდა ძველს ევლურ ხალხს (რომ „ღმერთი არ წაწუმებს სულსა მართლისასა“), ან უნდა იყოს იგი მომარტვერედ წოდებულის ფატალიზმისა, ანუ პედას. 1, თუ ადამიანს რწმენა, რომ ღმერთი უტყველად მე, როგორც მართალს. გამაართლებსო, ე. ი. განსაღვლიდან დამიხსნისო, მაშინ მას შეუძლია ხმალ-დამაჩანს მიანდოს თავის სიცოცხლე, რადგან ამ რწმენის თანახმად, მას საუფუძველიც ექნება; 2, თუ ადამიანს რწმენა, რომ კაცს თავისი ბედი და უბედობა შუბლზე აწერიოა, და რაც მოსასველია, მაინც მოვაო, ასეთს კაცს შეუძლია აგრეთვე მიენდოს ტყვიას, რადგან, მისის აზრით, ვისაც ბედით „სიკვდილი არ უწერია“, ტყვია ვერ მოჰკლავს, ვერ მიეკარება. მკითხველიც დავეთანხმება, რასაკვირველია, რომ ორივე ეს რწმენა ჩალის ფასად არა ღირს, ამიტომ კმარა ამაზე. ყოველს შემთხვევაში, ჩვენ ეხედეთ, რომ „მეველი“ ძველი ღრისის ევლური ხალხის წარმოადგენს და იფიქრებს მექონეა და ამ ძველებზე, მეცნიერებისაგან ცრუმორწმუნეობად აღსარებულს შეხედულენას „იერიის“ სათიდან უქადაგებს ქართულ ერს...

გარდა ამისა, რა არის ეს „ისეთი გარემოება, რომლის გამოც არც სახელმწიფო მართლ-მსაჯულთაშია მოსახერხებელი ლაპარაკის აღტერა და არც სამედიატორო წერით“? ბ-ნი „მეველი“ — თავის წერილში არ გვიჩვენებს მას. ამიტომ ორი სიტყვით ვსვამთ მოვიხსენოთ.

ყველაზე უფრო ხშირად ასეთ გარემოებად ითვლება საზოგადოებაში კაცის შინაური ცხოვრება.

*) ახილეთ „გადალი“ № 33.

ადამიანი ჩვენს საზოგადოებაში ყოველი მხრით ცდილობს, რომ ეს მხარე მისი ცხოვრებისა დიდი საღმრთოებით იყოს მოკლული. ეს მისი შინაური მდგომარეობა და ყოფა-შეცემა იმდენად თავის საკუთრებად მიიჩნია მას, რომ ვერ წარმოუდგენია, თუ ვინმე გარეშეს შეუძლია, ზრდილობის და პატიოსნების დაურქვევდა, მასში ცნობის მოყვარე თვალთ ჩახედვა. ასეთს შეხედულებას, რასაკვირველია, თავისი მიზნებით აქვს, რომლებიც, საბჭოთა, ბ-ნ „მეველეს“ ემთხვევა. აზრი აჯახზე, რადგან საკუთრებაზე, მტრად ძლიერია ადამიანში. აქედან წარმოდგება ბევრი ისეთი მოვლენანი, რომელნიც ადამიანს მშორად სიცოცხლეს უწყობავენ და წუთი-საფლოს სიამოვნებას ასაღმებენ. ავიღოთ რომელიმე მაგალითი ლიტერატურაში, თუნდა ლ. ტოლსტოის „კრეცერის სონატა“. რას ეხედათ მასში? ვერაფერს საზრუნველს და სასიამოვნოს. მოთხოვნიის გმირი თავის ცოლის მიმართ საზოგადოებრივ დამრთველებს მანამ ვერ ისვენებს, სანამ საწყალს ქალს წუთისთაღვლს არ გამოასალმებს. საკმარისია, რომ მის ცოლს უკუა ვინმე გაეცნოს და რაიმე საუბარი დაუწყოს, და მის გულში ექვთა საშინელი ქარ-ტყეხილი ატყდება და მთელ მის არსებას გამოურქვეველი შეეზენო ფიქრები მოიცავს. იმის განებაში ვერ თანხმდება ის აზრი, რომ მის ცოლს, როგორც პიროვნებას, რაიმე პიროვნული უფლება ჰქონდეს და, მანასადავ, შეეძლოს თავის ცხოვრების ან თუ ისე წაყენა. მას ყოველთვის თვალში უდგას მხოლოდ თავისი საკუთარი სიამოვნება, საკუთარი შვიკი და ამას გარდა არა რწმუნა. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ გმირის წარმოდგენით ყოველად მოუხებრებელია, რომ მან თავის სულის მდგომარეობის საქმეში სხვა ვინმე ჩახედვლს და ან თვითონ გასინჯოს იგი განების კრიტიკით. მასში ძლიერია ემოცია და სუსტი-გონება.

მაგრამ ჩვენის აზრით, როცა ადამიანის ცხოვრებაში გრძობდას ასეთი დიდი ადგილი უჭირავს და გონება კი თითქმის სულ არა ჩანს,—ასეთი ცხოვრება ნორმალური არაა და ამ უნორმლობას ჩვენ იშვითად არ ეხედათ საზოგადოებაში. ამიტომ, როგორც ემოციულ მოძრაობას კაცისას, არ შეიძლება დატრქვას გონიერი მოქმედება, ასეთსავე გამძვინვარებულ გრძობათა ზედ-მოქმედებით შემდგარ დასკვნას არ შეიძლება დამდარი გონების ნაყოფი უწოდოთ.

ცხოვრებაში ბლომათ არიან ტოლსტოის გმირებისთანებო, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც გაცილებით მაღლა დგანან ამ გმირთან შედარებით. მაგანი, „მეველეს“ იცოდეს, — 60 წლებში რუსე-

თში დიბეჭდა რომანი ჩერნიშევსკისა. ამ რომანში ეხედათ, რომ გონებრივად და ზნეობრივად განვითარებულნი კაცი სხვის თავისუფლებას არ დგენის, მას რწმუნს პიროვნული უფლებანი ყოველი ადამიანისა. როცა ქმარი ხედავს, რამ ცოლს მისი აზნავის სიყვარული აღძვრის გულში,—თავს ანებებს მას და უცლის მის მიერ „კანონიერად“ დაქვრის ადგილს მეორეს... რადგან ესმის, რომ მას არა აქვს ნება სხვისი თავისუფლების შევიწროებისა, თუმცა იურიდიული საფუძვლით მას შეეძლო კიდევ, რომ თავისუფლება თავის ცოლისა, როგორც პიროვნების, დაეჩავრა; კანონი ამის ნებას და საშუალებას აძლევდა... ამიტომ აქ საქმე ტრაგედიით არ თავდება, როგორც ტოლსტოის მოთხრობაში. ასეთი დიდი განსხვავება გონებრივ სინათლესა და ემოციურს დაზრმავებს შუა.

ამ სახით, ჩვენ ამ მუხლშუაც არ ვეთანხმებით ბ-ნ „მეველეს“. ვერცერთ გარემოების შესახებ კაცის ცხოვრებისა ვერ ვარჩევთ ხმალ-დამბაზით საქმის განხილვას განსჯა-განხილვას, როცა დუღელს მიმართვენ ხოლმე და მას კანონს აჯობობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბარბაროსობას არჩევენ ცივილიზაციას*).

VI

ბ-ნ „მეველეს“ ლოლიკით, ყოველს კაცს აქვს ზნეობრივი უფლება,— და ეს უფლება მას იურიდიულადაც უნდა ჰქონდეს,— რომ თავისი შეურაცხყოფელი ხმალი გამოითხოვოს და, თუ შეძლებს, მოჰკლას, როცა შეურაცყოფა ისეთისთვის ხდება, რომ მის შესახებ ლაპარაკის აღძვრა მოუხებრებელია. ეთქვით, ერთს მეფეს მიაციენა მეორემ შეურაცხყოფა, რომელიც სწორედ ასეთისთვის ხდება, როგორც ჰეკრობთ? „მეველეს“ წარმოდგენით შეურაცხყოფელი თავისი ლაშქრით უნდა მიენდოს ხმალ-დამბას! შეგონებუნი პატიოსნების დასაცავად უფლებლად გაილაშქრას შეურაცხყოფილზე. იწყება ხალხთა ქლტვა-წყევლა. ყველა ეს საჭიროა ხალხის „მეზარველი“ მეფის „შებლაული ღირსების“ ასადგენად. თვით „მეველეს“ ამის შესახებ პირ-დაპირ ამბობს: „თუ მთელი სახელმწიფოები თავის სიმატოლის დასამტკიცებლად ხმალს და იარაღს მიმართვენ ხოლმე, რილსთვის უნდა გაიკცბოს კვრძო კაცი, რომელიც თავის პატიოსნების დასაცველად იძობს ქარქამიდან იმავე ხმალს? აქედან ეხედათ, რომ „მეველეს“ ამის კანონიერობაში ექვო არა აქვს. მისი ლოლიკა ამ შემთხვევაში ამ ნაირია: ა) ომის ატება სახელმწიფოებში გასაკიცხი არაა და თვით

*) Jules Simon.—Le Devoir გვ. 390

ომი კანონიერი მოვლენა ადამიანთ საზოგადოებაში; ბ) შეურაცხყოფილის ხმალი ვასელა თავის შეურაცხყოფელთან იგივე ომია, გ) მამსადამე, ხმალი ვასელად კანონიერია და არა ვასაკიხი მოქმედება.

როგორც ხედავთ, თურმე საჭირო ყოფილა „მეველისთვის“ ომის უკანონოების დატკიცება. იმ დროს, როდესაც მთელი კაცობრიობა მშვიდობიანობისკენ მისწრაფვის და ეს დიდი უმბედურება, ხალხის გამანადგურებელი მოვლენა—ომი უნდა თავიდან აიცილოს, —ბნის „მეველ“ „იერიის“ ფურცლებზე ომის საჭიროებას და აუცილებლობას ჰქადაგებს!...

„ომს—ამბობს ჟოულ-სიმონი—რაღაც მომხიბლავი ძალა აქვს კაცის გონებაზე. ადამიანს ინსტიტუტურად უყვარს ძალმოპოვება, იგი ემორჩილება, მას მოწონს ყველაფერი, რაც ძლიერია. უნდა ვეწინააღმდეგოთ ამ მიდრეკილებას ადამიანისას, თუ გვინდა, რომ ომი უფრო იშვიათი მოვლენა შეიქნეს. უნდა წარმოვიდგინოთ ომი თვისი ნამდვილი ელფერიით, —ჯარის თოფ-ზარბაზნით ვაწყვეტა, ლაშქრის გაქირვება, ძალ-დატანება, ავადმყოფობა, ოჯახში გლოვატირილი, სოფლებში მტკარებთ რიცხვის დაკრატება, გლახობება...“)

„მეველს“ წარმოადგენთ კი შეუძლებელია, რომ კაცობრიობამ ხმალ-ხანჯლის უტრაილებლად შეძლოს ცხოვრება. მისი მოძღვრების თანახმად ყოველმა კაცმა პირველად ხმლის და დამბაჩის ხმარება უნდა ისწავლოს, რომ შეიძლოს ცხოვრებაში პასუხი გაცეს თავის შეურაცხყოფელს. რადგანაც „პატიოსნების დაცვა ყველასთვის სავალდებულოა“ და ამ დაცვის სახსარი მხოლოდ ხმალ-დამბაჩაა, ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველამ უნდა იცოდეს ამ იარაღის ხმარება...

ზემოდ ნათქვამიდან ჩვენ საკმაოდ ეხედავთ, თუ როგორია „მეველს“ შესებულება ზნეობაზე, კაცის შინაგან ღირსებას და პატიოსნებაზე. საზოგადოდ მას უყვარს ზნეობაზე ქადაგი, როცა ზნეობის კითხვების შესახებ ერთი ინჩიკ კი არ გავდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გავიგია, თუ როგორ მოახერხა მან თავის ათიოდ სტრიქონიან წერილში ამდენი შემცდარი აზრების გამოთქმა. რასაკვირველია, მას რომ ეთქვა რამე ხმალი ვასელის შესახებ ახლად გამოცემულ კანონზე, —რომ „ასეთი ცელიღების შემოღება სრულიად სამართლიანია და დროს

შესაუფერია რუსისჯარში, საცა პირადი შეურაცხყოფა ხშირია და სამართალიც ვერ დევნის, როგორც ჩიგია, შეურაცხყოფილის, მელიდურობით სანეც უფროსს; ეს აზრი რომ ცრუა ხერხიანად დგასაუთლებია, ჩვენ დავას არ დავუწყებდით; მაგრამ იგი მოჰყავს ფოლოსოფიას, დაიწყო ქადაგება ზნეობრივ დამყოფილებაზე და იმდენი შეცდომის გამოთქმა მოახერხა, რომ მკითხველი გააკვირვა. ნუ იფიქრებს ბნისამეველ“, რომ ჩვენ ვითომ იდეალური თვლით ვუყურებდეთ კაცობრიობას და კერძოდ თვითოველის ადამიანის ცხოვრება-მოქმედებას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ადამიანის ცხოვრება მარტო ზნეობრივს პრინციპზე იყოს დამყარებული, —არა, მის ასეთს თუ ისეთს მიმდინარეობას უფრო ძლიერი მოტყვევებულებს. ბოკლის სიტყვით, საზოგადოდ „ადამიანის მოქმედება დამოკიდებულია თანამედროვეთა აზრზე და ჩვეულებაზე, საერთო ხასიათზე საზოგადოების იმ ნაწილთა, რომელთაც უჭირათ ხელში უფლება—უპირატესობა“**). მაგრამ ამით ის მაინც არ მტკიცდება, რომ ეს ასე უნდა იყოს, რომ ცხოვრებაში მოლა, ასეთი თუ ისეთი საზოგადოებაში გავრცელებული აზრი კანონად გვიხანდოთ და იგი ზნეობრივ კითხვების ახსნაში დაურღვეველ ჭეშმარიტ საფუძვლად მივიჩნიათ...

დასასრულდ ორი სიტყვა კიდევ. „მეველს“ მოძღვრების, ადამიანს არას დროს არ უნდა ავიწყდებოდეს თავისი ვიწრო თავ-მოყვარეობა. თუ ენმე უსიამოვნება მოგაყენათ, აიღეთ ხმალი და ეცით მას, გადაწყვიტეთ ან თქვენი, ან მისი სიკვდილი. გზსოვდეთ მარად სენეკას სიტყვები: *Contra injurias vitae, beneficium mortis habeo*. ამიტომ არას დროს არ მოითმინოთ შეურაცხყოფა, რადგან ქმნაწინავე ყველაფერი და ყველანი თქვენს სასიამოვნოდ და მისიამოვნებლად არის გაჩენილი. —საზოგადო მოქმედება, საზოგადო საქმე ინტერესები?—იქნება იკითხოს მკითხველმა. მაგისი რა მოგახსენოთ! მაგას „მეველს“ ნუ ჰკითხავთ, მას ეგენი არა რწამს. ან კი—სად ცალია მაგისთანა რამეებისთვის ისეთს კაცს, რომელიც თავისი პიროვნების განდიდების აზრითაა შეწყობილი?!—ნუ თუ განათლებულ კაცს უფლება აქვს „შუბლი მიუშვიროს დაბნას“ ასეთი ვიწრო ეგონების წაქეზებით, როცა საზოგადო საქმე ინტერესები ხალხის საკეთილდღეობ მოქმედებას თხოვლობს?.. მაგრამ ნუ კითხულობთ-მეთქი მაგას, —შეწყალოვო...

*) Le Devoir, გვ. 392 და შეუდგეი. — იხ. აგრეთვე ამ საგნის შესახებ სენეკის *Начала социологии*. გვ. 344.

ფ. პატრუშვილი

**) *история цивилизации*, გვ. 414

შეფერება არ ძალუბთ*, ე. ი. ხარჯის წესი, ჩოთქი არ ცლანით. ეს რომ არ აკლდეთ, იმათ ბედნიერებას სასწავლო არ ექნებოდა. მაშასადამე იმათ უნდა ისწავლონ ეკონომია, ანგარიში, თუ როგორ შეუთანასწორონ ერთმანეთს შემოსავალი, გასავალი და ქილიარიბეც მოსახობა. მოდით და ნუ განკვირვებთ ჩვენი პუბლიცისტების ძლიერ-მოსილობით, გენიოსობით. ის, რასაც მთელი ქვეყანა დაძებნის და ვერ აღმოუჩენია, „მოამბის“ მექრონიკეს იანგარიში აღმოუჩენია და ბ-ნ-ლის მისისონ ბუქვი დაუსყამს და დაუმტკიცებია. აბა, ეს რაღა ეთქმის წინააღმდეგ. ამისათვის არის, რომ ბ-ნი-ლი გაცივრებით ამბობს: „ამ მიზეზებს ბ-ნი მავაკალი არ ჯერღებაო“. ოღონდაც! ამ გვიარი მიზეზების გამოკვლევა თქვენთვის დაგვითმია. რაკი ერთხელ აიჩემა ბ-ნმა ნ-ლმა მოვლენათა ფენების ჩხრეკა-ძიება, მიზეზების ასნა-გათვალისწინება პუბლიცისტისთვის მტი ბარკაო, მაშინ, რასაკვირველია, ყველაფერი აღვიღოთ და ვახაგები ხდება; ის, რაც ძლიერ რთული და თავსამტრეკია მეცნიერებისათვის, ბ-ნ-ლისთვის აშკარა და ნათელია. ამის ნიმუშები ზევით დავინახეთ.

„მოამბის“ მექრონიკე და მისი თეკილი ბ-ნი-ლი თავიანთ თავს აღიარებენ თავდაზნაურობის და მთელი ერის დამცველად. ისინი ამბობენ: „ამ შემამარწყნებელი ამბების ჩამდენი რამდენიმე თავზე ხელ-აღებულნი ახალგაზდა და ამიტომ უფულემა არ გვაქვს მათი საქციელი მთელს საზოგადოებას, წოდებას თავზე მოვახეიოთ და პასუხი ვაგებინათ. ასე ფიქრობთ ჩვენა, ხოლო სხვაფრიგ სჯიან ისინი, ვისაც ჩვენს ავსა და კარზე თვალ-ყური უჭირავთ. . . ისინი მთელ ერს თელიან დამაზნაველი!“, ფიცი მრწამს, მაგრამ ბოლო მაკვირებსო.“ სწორედ ამაზე არის ნათქვამი. ბ-ნ-ლის სიტყვით რწამს მთელი წოდება და ერის პატიოსნება, ხოლო მის ლოლიკას თუ ვაგვივით, პირდაპირ იმ დასკვნას მივადებთ, რასაც ის ჩვენი ქვეყნის ორგულეებს უსაყვედურებს. შეიძლება ვაიკვიროთ ეს, მაგრამ ნამდვილად კი ასეა. როგორც ეიცით, ბ-ნ-ლის აზრით ავსაკობენ იმისთვის, რომ „თვისას არ ჯერღებია“, ე. ი. მეტის შეძენის სურვილი არის მიზეზი ავსაკობისა. ამ ნაირი სურვილი, თავის ქონების უქმარობა, საშინლად გაძლიერებული მაგ. ევროპის ხალხთა შორის, აქ ხშირად ასობით და ათასობით რჩებიან ულუკმა-პუროდ, იბრძვიან თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ყველას სურს ნაულები ვისარჯოს და მეტი აიღოს, მაგრამ ავსაკობას და სხვის ძარცვა-გლეჯას არ მიდევნ და ამით თავს არ ირჩენენ. ერთგვარ მიზეზებს მოდვენ

ერთგვარი შედეგები. თუ ბ-ნ-ლი მიერ ნახვენი „მიზეზი“ ჭეშმარიტია, რატომ ჩვენში თავის ქონების უქმარობა ავსაკებს ჭქმინს და ევროპაში პატიოსან მოქალაქეს? ბ-ნი-ლი ამას არ ენება იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ამ გვარ კვლევას „მიზეზთა მიზეზის“ ძებნას უწოდებს, რაც სავალდებულო არ არის პუბლიცისტისათვის (131). (არც პუბლიცისტობაა, ბ-ნი-ლი, სავალდებულო). რადგანაც ჩვენი მწერლობა ამ გვარ კითხვებს უფიხობს, მაშინ როდესაც აქ არის გამარჯაული ყველა ძაფები ჩვენი ახლანდელი ცხოვრების. ცხადია გარეშენი არ გამაოარკვევენ და მზა-მზარეულად ლანაქვენ არ დაგვიდებენ. პირ-იქით ცენი ისე ფიქრობენ, როგორც სასარგებლოა იმათთვის. ეინ არის წინააღმდეგი, ამხსნელი? ბ-ნ-ლი-სთანა მკვლევარი კიდევაც ემხარება იმათ. მართლაც თუკი სხვაგან „თვისას არ ჯერღებია“, მაგრამ მაინც არ ავსაკობენ, აშკარა არ არის, რომ ჩვენი ხალხი უფრო ავსაკობსკენ ყოფილ მიდრეკილი, ვინემ მოქალაქობისკენ? უქმარობა თავის მდგომარეობისა მუდმივია, მაშასადამე ავსაკობასაც ბოლო არ ექნება. ამ შემთხვევაში რაღა გვეთქმის ჩვენი ორგულეების წინააღმდეგ. მაგრამ მალელობა ღმერთს, ბ-ნ-ლი-ს ლოლიკას მოკლე ფუნები აქვს, მიზეზად აუკუბრუნა სრულიად სხვა პირობება, რომელნიც დროებითი და წარმავალია თუმცა ის, რასაც ბ-ნი-ლი ასახელებს (თავისას არ ჯერღებია) განუწყვეტილი არის და იქნება.

ბ-ნი მავაკალი სხეთა შორის ამბობდა: ავსაკობის მიზეზის მკვლევალმა მხედველობაში უნდა მიიღოს ერის შეხედულება საზოგადოებრივად და კერძო ქონებაზე, რა მიანიან პირად და საქვეყნო საკუთრებადო ამასთანვე ერთი ისტორიული მაგალითიც მოიყვანა: მეფემამეტე საუკუნეში კახეთში მთავრობდა სპარსეთის მიერ დაყენებული მთავარი. მისი ხაზინა ერეწიდან წამოღებული გაძარცვის კახელებმაო და ეს ქვეყანამ სიყოილში ჩამაოთვია. ბ-ნ-ლი-ს, ყველგან თანხმობის და წესიერების მიძიებელს, ეს შენიშვნა არაფრთა ვატნავა და პასუხის მიცემის მაგიერ გაიძახის: „არა, ბ-ნი მავაკეობას, რაც უნდა მიზეზი უპოვიოთ ამ თუ იმ ავსაკობას, რაც უნდა სარჩული დაატანოთ, ამ მიზეზის კვლევა-ძიებაში ისეთი ისტორიკოს-არქეოლოგის მიიშველოთ, როგორც „ეკელის“ თანამშრომელი ბ-ნ გ. წერეთელი ბრძანდება (ესეც ბ-ნი-ლის ლიტერატურული ზრდილობაა!), იმას მაინც ვერ დაგვიმტკიცებთ, ვითომ ჩვენი ერი დანაწაულობად არ თელიდეს უცხო მგზავრის მოკვლას, ფულტაზე თუ რკინის-გზის მატარებელზე თავდასხმას!“. ეს



არის ბ-ნ ნა—ლის ლოლიკა. მისი აზრით, ვინც კი მოვლენის მიზნებს იცვლევს, ის თუთოვად ამართლებს თვით მოვლენას. რაკი ბ-ნმა მახაკალით თქვა, აეზაკობას ღრმა მიზეზები აქვს და საჭიროა ამის ცოდნა, ბ-ნ ნა—ლს მოეჩვენა, ვითომ მახაკალი ამტკცებდეს ჩვენი ხალხი ამართლებს—ავაკობასა. საღან გამოიყენა ეს დასკვნა? ალბანმა უწყის. ბ-ნი ნა—ლი რომ აკავშირებდეს ამყოს წარსულთან, მაშინ კარგათ გაიგებდა ბ-ნ მახაკალის აზრს, მიხედობდა, რომ ამ საუბერში დიდი ნახტომი გვაეცვით და ნორმალური მიმდინარეობა აირია. ამის საყურეს კარგა ხანია ვმცით. ბ-ნ ნა—ლი ხომ ამ ისტორიულ მოვლენას ხელს აფარებს, აქ არაფერი, ვერ წარმოუდგენია, თუ რა გავლენა უნდა ჰქონდეს ამ ფაქტს ავაკობაზე. ალ. ყაზბეგი მთელ თავის სიკაცხლოში ამას არკვევდა, მისი მჭევრ-მეტყველური თბულებები საესეა ყაჩაღებით, რომეღნიც ნაყოფი არიან გაუმე უტოო ძალადობისა. მაგრამ რა გამოვიდა? კარგს მთქმის, კარგი გამოკანე უნდა. განსვენებულ ყაზბეგს უეჭველად ეგონა, ქვეყანას მოეფინე ჩემი მოძღვრებაო. თურმე, ნუ იტყვით, მწერლებსაც არ შეუწყიათ *). ესენი აღიარებენ თავის თავს ერის ღირსების დამცველად! აი, ამათ შესახებ ლაპარაკობს ჩვენი პოეტი აკაკი:

„მელა მეტამეთ დამდგარა,
მწყესობას ჩემობს მგელიო,
ეშმაკი ეშმაკს პატრობს
„სასუფეველში გელიო“...“

კიდევ არი სიტყვა ბ-ნ ნა—ლის შესახებ. სემლანზე უფრო ბ-ნ მახაკალის წერილში ჩვენი მოკამათ ერთ სიტყვას დაუფრთხვია, ეს არის ევოლიუცია. აი, მახაკალის სიტყვები: „უეშველათ აქ ხედ-

ბა მსოფლიო ევოლიუცია, სადაც თვითოეული კაცის შრომა, განვითარება, ძალა და ღონე ამოა, ეგრას ვანდებ...“ ამანე შეშინებული ბ-ნ ნა—ლი კითხულობს: „ეს რომელი ევოლიუციაა, სადაც თვითოეული კაცის შრომა, განვითარება, ძალი და ღონე ამოა, ეგრას ვანდებ?“... რომელი? თვალწინ ვაჭქოდა თუ ვერ ხედავთ, ვისი ბრალია. აი, მაგალ. ჩვენი მწერლობა, საზოგადოება, მთავრობა იმის ზრუნეშია, რომ რამე ნაირად თვად-აზნაურობა, როგორც წოდება, აღადგინოს. მიუხედავად ამისა იგი წოდება დღითიდღე ნიეთირად ეცემა და წერილმანდება. ცხადია, აქ არის ისეთი ევოლიუცია, სადაც ყოველივე ძალა და შრომა ამოა.—ჩვენ ცხოვრებაში უცებ შემოვარდა ფულის საჭიროება, ამის შესაფერად შოვნის სახსარი, ანუ შრომა, არ განვითარებულა. ფული ვკირია, უნდა იშოვო, თუ კანონიერად არ შეიძლება შეძენა, სიყალბე იხმარე, მოიპარე. ასეთია ცხოვრების პირობები. ხოლო ფული რომ საჭირო შეიქმნა, ამის მიზეზი ჩვენ არა ვარს, აი, აქ მოქმედობს თქვენი საფრთხობი მსოფლიო ევოლიუცია, რომლის წინაშე ვერავითარი ქადაგება, ჩოთქა, ისწავლეთ და თავისას დაჯერდითო, ვერ ვაჭქის, ყოველივე თქვენი ოხტრა-გოდება უნაყოფია. საფრანგეთში მე XVI საუკუნიდან დაწყებული სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო იმისაკენ, რომ თავდა-აზნაურობა ყოფილიყო ქვეყნის სათავეში და პირველობა ქონებოდა. წინააღმდეგ ამისა არა თუ აზნაურობა, მისი მფარველი მეფობაც კი მოისპო. აშკარაა, ისეთი ევოლიუცია ყოფილა, სადაც თვითოეული კაცის შრომა (და ისიც გვირგვინოსანის), ძალა და ღონე ამოა, ეგრას ვანდებ. ეს ყველამ იცის ბ-ნ ნა—ლის მეტმა. ბ-ნ ნალი მახაკალის მოსაზრებას უწოდებს ახირებულ ფილოსოფიას. რასაკვირველია, იმისთვის, ვინც ყოველგან თანხმობას ეძებს და წესიერებას ამყარებს, ამ გვიარ ფილოსოფია ახირებულა.

3. პეტრეძე

(დასასრული შემდეგ).

სახუმარო გასართობი

სიმონიძე და მისი „გალიარებ“.



სიმონიძე შეკანმულა,
გაუმართავს ზოლოციკა;
მან ქართული რომ არ იცის,
ამს მოწმობს მისი ტლისკა.

თაკი მოწონს, როგორც პუესა,
ლომს რომ ცხვირში შეესა;
უნდა აკვი მიხს დაეკეს
ისე, ვით პუესის წესა.

სახუთებათ „დედა-ენას“,
„პუნების ცარს“ წაუეენეს,
მერე „საყმწვიდო კონას“
მიაშეკლეს, გააუმუნეს.

იქ ბუკრია, აკტილიარბუკ,
 აკტილიარბუკ, აკტილიარბუკ,
 აკტილიარბუკ, აკტილიარბუკ,
 აკტილიარბუკ, აკტილიარბუკ —
 სულ ამ ტყავი მომხმსუელი,
 მიდებუელი, მოდებუელი,
 ან ჭართული, გავთისული,
 სან სომხური, სან თათრული,
 სანსული, თუნდ სომხსული,
 აკტილიარბუკ, აკტილიარბუკ,
 ბოზო, რომით გამომავალი
 და ჭართულად მიდებუელი.

რას მივინაძე ქელი ენა,
 ან რუსთველი, ან შათელი?..
 ამით უგებდას მელა დგის
 აკტილიარბუკი.
 ის არის ჩემი მოსკოვი,
 ჩემის ენის სამსალი;
 იმას ეხებოდა უგებდა,
 აკტილიარბუკი რაც ქელია.

მან მასწავლა წერილობა,
 მოღუძევის ჭანკეთი:
 — როს სიმართლემ გიმტყუნოსო,
 ისმარე სხვა სწავლით,
 სხვა სავანზე გადუსტი,
 დაქმანსე, აკტილიარბუკი.
 ფილოსოფოსად დაქმანსე,
 უკითხე ლექციებიო.
 სიტყვის ძირები შეუთსნე:
 აკტილიარბუკი, აკტილიარბუკი,
 აკტილიარბუკი, აკტილიარბუკი.
 ეინ გავიგებს, რაც გინდ მისე,
 ბოლოს ბურთი შენ დაგჩნება.

ეს მასწავლა აკტილიარბუკი,
 დიდი ნიჭით მწერალია;
 მან დაწერა უკეთესი უგებდა:
 მოკტი და მწერალია.
 მან გადუენა ქელი ენა,
 დაკვირვება სწავლით:
 მისგან შევითხვის რწმენა,
 რომ სხვა კიდო ზღაპრითა.

თუ ეხერ არ იყებულა
 აკტილიარბუკი, დამიგვესო,
 რამატიკას მოვიშველებ,
 ან ჭართულსა, უკტილიარბუკი.
 მან; ჭართულის რა მკემის
 თანსკედელიმ მუდამიქსო.
 უკტილიარბუკი ენა მასწავლია
 უკტილიარბუკი კილას მკტილიარბუკი
 ამ უკტილიარბუკი ენის ფორმებით
 დაგჩნდება ჭართულ წესით;
 მსოფლიოების მსოფლიოებისად
 შეგებდა, ვით უკტილიარბუკი, შენგებდა.
 რამატიკის და ლოკივის
 აკტილიარბუკი კანონებს;

მთვან ღამისას შეგებდას,
 ეინ რას იტყვის, ან გააკეთებს?
 აკტილიარბუკი, თუ აკტილიარბუკი,
 ჩემის ახრით სულ ერთია;
 ამას მოწოდებს უკტილიარბუკი ენა,
 იქ ეს ირთვე ერთია.

ბოლოს განგებდას
 უკტილიარბუკი და უკტილიარბუკი;
 სარ დაუსვამს, სანგებდა,
 გამიღებ, რომ იქ ნუ უგებდა.
 გეკტილიარბუკი — გრამატიკა
 უკტილიარბუკი — გეკტილიარბუკი
 ჩემსავით ან გისწავლია,
 ან რცოდნა გეკტილიარბუკი.
 თუგებდა ფრანგულ-ჩემსკედელი,
 ჩემში დაჩნეს, სულ ან იცის,
 მანგ იკვირს, უკტილიარბუკი:
 „ბრძანაო, დემოქრატის იცის!“

ამ მომდებრას ან შეგებდას
 გრამატიკა, რაც მისს მომადგება.
 აკტილიარბუკი იცინებს,
 ისტე, ვიტი, ან ამიგებს.
 გუბ, სოფლო რწმენა სარ,
 რას გვაჩვენებს, რა ჩემს ტკიანსა;
 უკტილიარბუკი მონკობილი,
 ნიადგებდა ჩემს რსტისა;
 შეგებდას კასტეგებს,
 გონიერსა უსტე მისსა;
 დგანდას იტყვდა მოკტილიარბუკი,
 უკტილიარბუკი აუძლებებს ტკიანს!

რედაქტორ. გამომცემელი ან. თ. წერეთლის.

განხილვა

დამუშავი საზოგადოება

ი ა კ ტ რ ი (დუხა)

უმადესად დამკვირვებელი 1872 წელს, რომელს
 საც ძირითადი თანხა 2,500,000 მინით აქვს გა-
 რდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მი-
 მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრე-
 ბითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის
 როცა შრომა აღარ შეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მომარებისა და უძრავის
 ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვი-
 მდინარით და ხმელეთით წასაღწამასაღების საქონ-
 ლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წე-
 რილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზა-
 რება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგე-
 ბაში, რომელიც დადგენილია კაცაისის მხრისთვისა
 და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოზნეისის სა-
 ხლში, თუ არა თვით საზოგადოების ადრეტის აღ-
 ქანდრე პეტრეს ძის ზეირიებისაგან, რომელიც დგას
 ევლიამინოვის ქუჩაზე № 2.